სიტყვების ლოტო

მოსწავლეები თამაშობენ ლოტოს მასწავლებლის მიერ წინასწარ შეთავაზებული სიტყვების გამოყენებით.



კლასი: I-IV

მუშაობის ფორმა: წყვილები/მცირე ჯგუფები/მთელი კლასი.

რესურსი: დაფა და ცარცი/ფორმატი და მარკერი, მოსწავლეთა რაოდენობის შესაბამისი თაბახის ფურცლები, კალმები, ტომარაში/ყუთში ჩაყრილი სიტყვები.

მსვლელობა

- მასწავლებელი დაფაზე ან ფორმატზე წინასწარ ჩამოწერს 20-25 სიტყვას. იმავე სიტყვებს დაწერს სათითაოდ პატარა ფურცლებზე და ტომარაში/ყუთში მოათავსებს. მოსწავლეებს კი დაურიგებს A4 ზომის ფურცლებს.
- მოსწავლეები ფურცლებს კეცავენ 8 ტოლ ნაწილად, შემდეგ გაშლიან და მიღებულ უჯრებს შეავსებენ მასწავლებლის მიერ ჩამოწერილი სიტყვებიდან შერჩეული 8 სიტყვით (თითო უჯრაში თითო სიტყვა).
- ფურცლების შევსების შემდეგ თამაშის წამყვანი (მასწავლებელი ან რომელიმე მოსწავლე) ყუთიდან/ტომრიდან სათითაოდ ამოიღებს სიტყვებს, წაიკითხავს ხმამაღლა და დანარჩენ მოსწავლეებსაც აჩვენებს.
- თუკი წამყვანის მიერ დასახელებული სიტყვა დაემთხვევა რომელიმე მოსწავლის მიერ შერჩეულს, მოსწავლემ უნდა მონიშნოს ეს სიტყვა შესაბამის უჯრაში და დაიძახოს „ბინგო“. თუ მოთამაშე ბარათზე ყველა სიტყვას მონიშნავს, დაიძახებს: „სუპერბინგო“. გამარჯვებული იქნება ის, ვინც პირველი მონიშნავს ბარათზე ყველა სიტყვას.

შენიშვნა: თამაში შეიძლება გაგრძელდეს გამარჯვებულთა სამეულის/ხუთეულის გამოვლენამდე ან იქამდე, ვიდრე ყველა მოთამაშე არ შეავსებს ფურცელს.

აქტივობის ვიდეოვერსიის ნახვა შეგიძლიათ აქ: https://www.youtube.com/watch?v=Am-ZIH0fJbo